ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ოქმი:**ო47. 47251562**

თარიღი:**05/06/2025**

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N 5

დ. ჩოხატაური 23 მაისი, 2025 წელი.

თავმჯდომარეობდა: ვლადიმერ სიხარულიძე.

ესწრებოდნენ: გოჩა ჯიქია, აკაკი ყაჭეიშვილი, კობა კალანდაძე, ქეთევან სიხარულიძე, ზაურ ზარბაზოია, თემური ხუხუნაიშვილი, ლაშა თოლორდავა.

არ ესწრებოდა: ხათუნა ბერიშვილი, გოგი ბოლქვაძე, დიმიტრი კორიფაძე, მარინე თავაძე, მამია ბარამიძე, ზაალ მამალაძე, მინდია დოლიძე.

მოწვეული:

ზაზა ოსეფაიშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი;

ნინო ბარამიძე - ა(ა)ი.პ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება „მამავალის“დირექტორი;

ნათია ცინცაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საოქმო და სამდივნო საკითხებში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1. ა(ა)იპ ,,მომავალის" ანგარიში 2024 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის აპრილის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

3. ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული, ,,სოციალური პრობლემების გადაწყვეტისა და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს ხელშეწყობის მიზნით, პროგრამების თანადაფინანსება“ მუხლიდან (06.02.09) თანხების განკარგვისა და ხარჯის შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 8 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ა(ა)იპ ,,მომავალის" ანგარიში 2024 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: ნინო ბარამიძე

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის აპრილის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

მომხსენებელი: ზაზა ოსეფაიშვილი

3. ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული , ,,სოციალური პრობლემების გადაწყვეტისა და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს ხელშეწყობის მიზნით, პროგრამების თანადაფინანსება“ მუხლიდან (06.02.09) თანხების განკარგვისა და ხარჯის შესახებ.

მომხსენებელი: ზაზა ოსეფაიშვილი

I საკითხი

ა(ა)იპ ,,მომავალის" ანგარიში 2024 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

1. ა(ა)იპ ,,მომავალის" ანგარიში 2024 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: ნინო ბარამიძე

აზრი გამოთქვა: ვლადიმერ სიხარულიძემ მიმართა მომხსენებელს:

ავტორიაციასთან დაკავშირებით უამრავი ღონისძიებაა გასატარებელი. მერიაში უნდა შექმნილიყო შესაბამისი სტრუქრურა, რომელიც კონტროლს გაუწევდა ავტორიზაციის პროცესს. რა ხდება ამასთან დაკავშირებით.

გაზიფიცირების საკითხი რამდენად მოგვარებულია და მეორე ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია თუ იგეგმება და როდისთვის იგეგმება სურების ბაღის გახსნა.

ნინო ბარამიძე:

· ავტორიზაციასთან დაკავშირებით ბაღების გაერთიანებამ უკვე მიმართა მერიას, რათა გამოეყოთ პირი, რომელიც ავტორიზაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას

გაუწევდა მეთვალყურეობას. ამჟამად დოკუმენტაციის მომზადების პროცესში ვართ, რომელიც გადაეცემა ხარისხის მართვის სამსახურს.

· რაც შეეხება გაზიფიცირებას, არის ბაღები, სადაც ელ. ქურები არ ფუნქციონირებს და იძულებული გავხდით, შეგვეტანა გაზის ავზები და ამდენად შეფერხება არ გვაქვს.

· მეორე ბაგა ბაღის რეაბილიტაციის საკითხი უნდა დადგეს დღის წესრიგში.

· სურების ბაღში მიმდინარეობს მზის პანელების დამონტაჟება, ხოლო საჭირო ინვენტართან დაკავშირებით მერიაში მოთხოვნა გაკეთებულია.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_ 8

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 8 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ა(ა)იპ ,,მომავალის" ანგარიში 2024 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად (განკარგულების პროექტი იხ. chokhatauri.gov.ge-ზე).

II საკითხი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის აპრილის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის აპრილის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

მომხსენებელი: ზაზა ოსეფაიშვილი

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი აღნიშნული შენიშვნით დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 8

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 8 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა და ცნობად მიიღო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის აპრილის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ (ანგარიში თან ერთვის).

III საკითხი

ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული, ,,სოციალური პრობლემების გადაწყვეტისა და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს ხელშეწყობის მიზნით, პროგრამების თანადაფინანსება“ მუხლიდან (06.02.09) თანხების განკარგვისა და ხარჯის შესახებ.

აზრი გამოთქვა: ვლადიმერ სიხარულიძემ მიმართა კომისიას, რომ მერიამ უგულებელყო კომისიის წერილი და აღნიშნული საკითხი არ არის წარმოდგენილი სხდომაზე.

კომისიის მომდევნო სხდომაზე, სასურველია, შესაბამისმა სამსახურმა სოციალური სამსახურის უფროსთან ერთად წარმოადგინოს საკითხი.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული შენიშვნა დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_ 8

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 8 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ გადაწყვიტა, მომდევნო სხდომაზე, შესაბამისმა სამსახურმა სოციალური სამსახურის უფროსთან ერთად წარმოადგინოს საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ვლადიმერ სიხარულიძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/